დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 12

ქ. დმანისი 13 დეკემბერი 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. აზერ ალიევი
5. ილია სარსევანიძე
6. შოთა აკობაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მიხეილ დაუთაშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. მაკა ოკმელაშვილი
11. მურაზი აბრამიშვილი
12. შალვა ღამბარაშვილი
13. შახინ კოიალოვი
14. სტამბულ ისაევი
15. ემილ იბრაგიმოვი
16. გამლეტ ისმაილოვი
17. ნატიგ ოვჩიევი
18. მაია ციხელაშვილი
19. ლევან მოსეშვილი
20. გუსეინ ისმაილოვი
21. გუმბათ იუსუბოვი
22. შაჰინ გასანოვი
23. კახა ოქრიაშვილი
24. კახა დევნოზაშვილი
25. გურანდა ქოჩორაძე
26. მერაბ ფოლადაშვილი
27. თორნიკე ნინიაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნატო სამადაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული განყოფილების ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი .

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომა დაიწყო: 12. 00

სხდომა დასრულდა: 13. 40

დღის წესრიგი:

1	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 დეკემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

2	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე, სამშენებლო ზედამხედველობასთან დაკავშირებული დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი:	**გ. გრიგალაშვილი**

3	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის №3-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**გ. გრიგალაშვილი**

4	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის Nგ-109.109233321 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**მ. ოკმელაშვილი**

5	**განკარგულება:** სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი, რომელსაც ერთახმად დაუჭირეს მხარი

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 დეკემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ კოდში „საგადასახადო შემოსავლები“ ჭარბმა შემოსავალმა შეადგინა 280,0 ათასი ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით „საგადასახადო შემოსავლები“ ნაცვლად 13 948,8 ათასი ლარის განისაზღვროს 14 228,8 ათასი ლარით. კერძოდ:

- „საქართველოს საწარმოთა ქონება (გარდა მიწისა)“-ს მუხლი გაიზარდა 112,5 ათასი ლარით და ნაცვლად 1 100,0 ათასი ლარის განისაზღვროს 1 212,5 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

- „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი“-ს მუხლი გაიზარდა 67,5 ათასი ლარით და ნაცვლად 390,0 ათასი ლარის განისაზღვროს 457,5 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი“-ს მუხლი გაიზარდა 100,0 ათასი ლარით და ნაცვლად 10,0 ათასი ლარის განისაზღვროს 110,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ასევე შემცირდეს შემდეგი გადასახდელები:

- 01_01_01 ორგანიზაციული კოდი „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო“-ს „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლი შემცირდეს 11,0 ათასი ლარით და ნაცვლად 11,0 ათასი ლარის განისაზღვროს 0,0 ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 01_01_02 ორგანიზაციული კოდი „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს „შრომის ანაზღაურება“-ს მუხლი შემცირდეს 80,0 ათასი ლარით და ნაცვლად 2 338,2 ათასი ლარის განისაზღვროს 2 258,2 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 01_01_02 ორგანიზაციული კოდი „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლი შემცირდეს 14,3 ათასი ლარით და ნაცვლად 60,0 ათასი ლარის განისაზღვროს 45,7 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 02_03_02 ორგანიზაციული კოდი „გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელ ენერგიის გადასახადი“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი შემცირდეს 10,0 ათასი ლარით და ნაცვლად 550,0 ათასი ლარის განისაზღვროს 540,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 02_04_02 ორგანიზაციული კოდი „ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლი შემცირდეს 14,7 ათასი ლარით და ნაცვლად 240,5 ათასი ლარის განისაზღვროს 225,8 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ზემოთ ჩამოთვლილი ჭარბი შემოსავალი და შემცირებული თანხები მიემართოს შემდეგ გადასახდელებში :

- 01_02_01 ორგანიზაციული კოდი „სარეზერვო ფონდი“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი გაიზარდოს 20,0 ათასი ლარით და ნაცვლად 180,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 200,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 02_02_02 ორგანიზაციული კოდი "სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია“-ს “გრანტი“-ს მუხლი გაიზარდოს 290,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1 720,0 ათასი ლარის განისაზღვროს 2 010,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- 05_02_04 ორგანიზაციული კოდი „კულტურული ღონისძიებები“-ს „საქონელი და მომსახურება“-ა მუხლი გაიზარდოს 100,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 129,9 ათასი ლარის განისაზღვროს 229,9 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

02_04_01 ორგანიზაციული კოდი „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლიდან 290,0 ათასი ლარი გადატანილ იქნას ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

03_01_01 ორგანიზაციული კოდი „დმანისის სერვის ჯგუფი“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლიდან 46,2 ათასი ლარი გადატანილ იქნას ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

05_02_01 ორგანიზაციული კოდი „დმანისის კულტურის და ხელოვნების ცენტრი“ „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან 4,2 ათასი ლარი გადატანილ იქნას ამავე კოდის „სუბსიდია“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 722,5 ათასი ლარის განისაზღვროს 726,7 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს 29 980,2 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: ლევან მოსეშვილმა

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 27

წინააღმდეგი:

2. მომხსენებელი : გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე, სამშენებლო ზედამხედველობასთან დაკავშირებული დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტით მტკიცდება, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის'' 123-ე-129-ე მუხლების აღსრულებასთან დაკავშირებული, სამშენებლო ზედამხედველობიდან გამომდინარე, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის (შემდგომში - ინსპექცია) და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების (შემდგომში იურიდიული განყოფილება) მიერ შესადგენი დოკუმენტების ფორმები. კერძოდ, მითითების, შემოწმების აქტის, უწყების, დათვალიერების ოქმის და მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვრება ინსპექცია, ხოლო ინსპექციის წერილობითი მომართვის (მოხსენებითი ბარათი) საფუძველზე, სააღსრულებო ფურცლის შედგენაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულად განისაზღვრება იურიდიული განყოფილება და შედგენილ ფორმას წარადგენს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში აღსასრულებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წარმოდგენილი პროექტით, ძალადაკარგულად ცხადდება „დმანისის მუნიციპალიტეტში სამშენებლო საქმიანობის დარღვევის შესახებ მითითების ფორმის, შემოწმების აქტის და სააღსრულებო ფურცლის ფორმების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N17 დადგენილება.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედება გავლენას არ მოახდენს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ან შემოსავლებზე.

გ) სხვა ნორმატიულ აქტებში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს სხვა ნორმატიულ აქტში ცვლილებებს ან დამატებებს.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 27

წინაღმდეგი:

3. მომხსენებელი : გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის №3-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში -პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

„დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის №3-14 დადგენილების (შემდგომში - №3-14 დადგენილება) პირველ მუხლში დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გამოყენებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (შემდგომში - კოდექსის) კონკრეტული მუხლების ჩამონათვალში საჭიროა დაემატოს კოდექსის 125^4 , 135-ე და 153^3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილები, ვინაიდან, კოდექსის 209^3 მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის 239 მუხლის 27-ე ნაწილის მიხედვით, კოდექსის 125^4 , 135-ე და 153^3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს და აღნიშნულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი. კოდექსის 125^4 მუხლი მოიაზრებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესების დარღვევის შემთხვევებს, 135-ე მუხლი კი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებას, ხოლო მითითებული კოდექსის 153^3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილები განსაზღვრავს გარე ვაჭრობას შესაბამისი ნებართვის გარეშე, რომლის არ გათვალისწინების შემთხვევაში განსაზღვრულია ადმინისტრაციულ სახდელის (ჯარიმა) ოდენობები. სამართალდარღვევის მუნიციპალიტეტის ორგანოებს უფლება აქვთ ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ადგილზე შეუფარდონ ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმა) სამართალდარღვევის ოქმის შედგენის საშუალებით. შესაბამისად მიზანშეწონილია, №3-14 დადგენილების პირველ მუხლში დაემატოს კოდექსის 125^4 , 135-ე და 153^3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილები და მუნიციპალიტეტის ორგანომ, გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დადგომის შემთხვევაში, საქმეები განიხილოს და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი შეადგინოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრულმა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულმა ერთეულმა. რაც შეეხება №3-14 დადგენილების მე-9 მუხლში ცვლილებას, აღნიშნული გამოიწვია, მითითებული დადგენილების პირველ მუხლში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4 , 135-ე და 153^3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების დამატებამ, რომლებიც ასევე დაემატა დადგენილების მე-9 მუხლშიც და ამ მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ან/და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ოქმის, ოქმის შევსებისა და გამოყენების უფლების მინიჭება, აუცილებელი გახდა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციისათვის.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) სხვა ნორმატიულ აქტებში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს სხვა ნორმატიულ აქტში ცვლილებებს ან დამატებებს.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს: ლევან მოსეშვილმა , პაატა ყულიაშვილმა , გიორგი გრიგალაშვილმა, თორნიკე ნინიაშვილმა.
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 27
წინაღმდეგი:
4. მომხსენებელი : მაკა ოკმელაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის Nგ-109.109233321 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ცვლილება შევიდა ტრანსპორტით მომსახურების 2024 წლის მუნიციპალურ ქვეპროგრამაში, სადაც ტრანსპორტით გადაადგილების მიმართულებას დაემატა თ) პუნქტი რაც გულისხმობს, სასწავლო დღეებში -სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ტრანსპორტირებას(დღეში 2 რეისი) სოფელი ზემო კარაბულახი-სარკინეთი და სოფელი
სარკინეთი-ზემო კარაბულახის მიმართულებით.

პროგრამაში ტრანსპორტით გადაადგილების მიმართულება განისაზღვრა შემდეგი სახით:

ა) კვირაში ხუთი დღე - სოფელი პატარა დმანისი - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - სოფელ პატარა დმანისის მიმართულებით;

ბ) კვირაში ორი დღე - სოფელი მამულო ქ. დმანისის და ქ. დმანისი სოფელ მამულოს მიმართულებით;

გ) კვირაში ორი დღე - სოფელი ირგანჩაი ქ. დმანისის და ქ. დმანისი სოფელი ირგანჩაის მიმართულებით;

დ) კვირაში ორი დღე - სოფელი კიზილაჯლო ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი კიზილაჯლოს მიმართულებით;

ე) კვირაში ერთი დღე - სოფელი გუგუთი ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი გუგუთის მიმართულებით;

ვ) კვირაში ორი დღე - სოფელი საფარლო ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი საფარლოს მიმართულებით;

ზ) სასწავლო დღეებში - სსიპ ირგანჩაის საჯარო სკოლის ქართული სექტორის პედაგოგების ტრანსპორტირება ქ. დმანისი სოფელი ირგანჩაი და სოფელი ირგანჩაი ქ. დმანისის მიმართულებით.

თ) სასწავლო დღეებში -სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ტრანსპორტირება(დღეში 2 რეისი) სოფელი ზემო კარაბულახი-სარკინეთი და სოფელი სარკინეთი-ზემო კარაბულახის მიმართულებით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 27

წინაღმდეგი:

5.მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლებში მდებარე 1353 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით: №82.12.48.604. მდინარე მაშავერაზე ელექტროსადგურის „მაშავერა 1 ჰესი'', „მაშავერა 2 ჰესი'' და „მაშავერა 3 ჰესი'' მშენებლობის მიზნით,49 წლის ვადით.

აზრი გამოთქვეს: კახა ოქრიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეწინაღმდეგება ამ საკითხს.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 26

წინაღმდეგი: კახა ოქრიაშვილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი